ხელშეკრულება №03-05/23

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი 22 დეკემბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, **ინდ.მეწარმე ნათელა ვარშანიძე** (შემდგომში - მიმწოდებელი) და მეორეს მხრივ, **სსიპ გიორგი შაინიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის საჯარო სკოლა** (შემდგომში - შემსყიდველი) დირექტორის ლევან ვერულიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ოფისისათვის საჭირო სამეურნეო საქონელის (CPV:31200000, CPV- 31500000, CPV-39200000, CPV-39500000, CPV-42100000 CPV- 44400000 CPV-44500000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნების დეტალური აღწერა მოცემულია დანართი #1- ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულებას შეადგენს 489.0 (ოთხასოთხმოცდაცხრა) ლარს

CPV-კოდი-31200000-50.0

CPV-კოდი-31500000-40,0

CPV-კოდი-39200000- 59.0

CPV-კოდი-39500000-45.0

CPV-კოდი-42100000-120.0

CPV-კოდი-44400000-55.0

CPV-კოდი-44500000-120.0

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და სასაქონლო ზედნადებით, ა/და ანგარიშფაქტურით.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 25 დეკემბრამდე შემსყიდველის მისამართზე .

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის **მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 30 იანვრის ჩათვლით.**

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: **სსიპ გიორგი შაინიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის საჯარო სკოლა** ს.კ:246993874 მის : სოფ:დაბა ოჩხამური ტელ:577304172 **დირექტორი:** **ლევან ვერულაძე** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** **ინდ.მეწარმე ნათელა ვარშანიძე** **ქობულეთი თავისუფლების ქ 19** **61004019739** **სს ლიბერთი ბანკი** **LBRTGE22** **GE25LB0112114066568000**

დანართი №1

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	CPV-კოდი
1	წყლის ნასოსი	1	120	120	42100000
2	ნათურა	10	2	20	31500000
3	კარის გასაღები	4	30	120	44500000
4	ქოთანი	3	8	24	39200000
5	ჩამრთველი	5	10	50	31200000
6	ცოცხი	5	7	35	39200000
7	მაგიდის ტილო	10	2	20	39500000
8	იატაკის ტილო	5	5	25	39500000
9	ჩამრეცხი ავზი	2	27,5	55	44400000
10	ბრა	2	10	20	31500000
	სულ			489,0	

მიღება-ჩაბარების აქტი

22 დეკემბერი 2020 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ **ინდ.მეწარმე ნათელა ვარშანიძე,** ხოლო მეორეს მხრივ **სსიპ გიორგი შაინიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის საჯარო სკოლა** (შემდგომში - შემსყიდველი), ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო 2020 წლის 22 დეკემბრის #03-05/23 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეურნეო საქონელი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 489,0 (ოთხასოთხმოცდაცხრა) ლარს.

შემსყიდველი:

სსიპ გიორგი შაინიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის საჯარო სკოლა

ს.კ:246993874

მის : სოფ:დაბა ოჩხამური

ტელ:577304172

დირექტორი:

ლევან ვერულაძე

_____

(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

ინდ.მეწარმე ნათელა ვარშანიძე
ქობულეთი თავისუფლების ქ 19
61004019739
სს ლიბერთი ბანკი
LBRTGE22
GE25LB0112114066568000

_____

(ხელმოწერა) ბ.ა